ცენტრალური აზია

შედარებითი პოლიტიკის კონტექსტში

შინაარსი

ცენტრალური აზიის ქვეყნები 2
ყაზახეთი.....3
ცენტრალური აზია - მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....7
განვითარების ხუთი სცენარი ცენტრალური აზიისთვის.....11
კავკასია და ცენტრალური აზია: მომავლის გზა.....14
უზბეკეთი ცენტრალური აზიის ჩინეთად იქცევა 17
შუა აზიაში შესაძლებელია "ომი წყლის გამო".....18
შუა აზია: „გადატვირთვა" არ უშველის! 18
ყაზახეთი – ჩვენი დიდი მეზობელი.....21
ყირგიზეთი იშლება ანუ შესაძლებელია თუ არა დემოკრატია
შუა აზიაში? 29
რუსეთი ცდილობს ცენტრალური აზია ნატოს გავლენისგან
გაანთავისუფლოს 33

ცენტრალური აზიის ქვეყნები

საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული იყო დაყოფა -შუა აზია და ყაზახეთი. 1992 წელს ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა შუა აზიის ქვეყნების სამიტზე უარი თქვა განსაზღვრებაზე „შუა აზია და ყაზახეთი" და მის ნაცვლად მხარი დაუჭირა ცნებას „ცენტრალური აზია", რომელიც მოიცავს ამ რეგიონის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას. ეს ტერმინი დღეს ხშირად გამოიყენება, თუმცა გეოგრაფიულად ცენტრალური აზია უფრო ფართოა - მოიცავს მონღოლეთს და ჩინეთის დასავლეთ ნაწილსაც.

ცენტრალურ აზიაში შედის 5 პოსტსაბჭოთა ქვეყანა - ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. მათგან პირველი ოთხი - თურქულენოვანია, ტაჯიკეთი კი სპარსულენოვანი.

ცენტრალური აზიის ფართობი დაახლოებით 6 მლნ კვ. კილომეტრია

ყაზახეთი

ფართობი - 2. 717. 000 კვ. კმ

დედაქალაქი - ასტანა

მოსახლეობა - 16.6 მლნ (2011 წლის მონაცემებით)

ოფიციალური ენა - ყაზახური

სახელმწიფო რელიგია - ისლამი (სუნიტური); ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა)

სახელმწიფო წყობა - საპრეზიდენტო რესპუბლიკა

სახელმწიფოს მეთაური - პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი

ფულადი ერთეული - ყაზახური თენგე

ეროვნული დღესასწაული - დამოუკიდებლობის დღე 27 აგვისტო (1991 წლიდან)

ყაზახეთი ადმინისტრაციულად იყოფა 14 ოლქად და 3 ქალაქად

1920 წლის 16 აგვისტოს რსფსრ-ს შემადგენლობაში წარმოიქმნა ყირგიზეთის ასსრ, ხოლო 1925 წელს დაერქვა ყაზახეთის ასსრ. 1924-1925 წლებში შუა აზიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნის შედეგად, ყველა ყაზახური მიწა გაერთიანდა. 1936 წლის 5 დეკემბერს ყაზახეთი საკავშირო რესპუბლიკა გახდა სსრკ-ში.

ყაზახეთის სსრ-ს უმაღლესი საბჭოს მიერ 1990 წლის ოქტომბერში
მიღებულ იქნა რესპუბლიკის სუვერენიტეტის დეკლარაცია. 1991 წელს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა და პრეზიდენტის თანამდებობა დაწესდა.

მიუხედავად დიდ ტერიტორიაზე მდებარეობისა, ყაზახეთი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ითვლება

ერთ-ერთ მცირერიცხოვან ქვეყნად მსოფლიოში. ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს 16.5 მლნ ადამიანს. ამ მაჩვენებლით მას 50-ე ადგილი უჭირავსბმსოფლიოში. რაც შეეხება ეროვნულ შემადგენლობას, მოსახლეობის თითქმის 48%-ს შეადგენენ ყაზახები, 34%-ს რუსები. ყაზახეთში ამავდროულად ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნებისა თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები (უკრაინელები - 800 ათასი, გერმანელები - 500 ათასი, უზბეკები - 400 ათასი, თათრები - 300 ათასი და სხვა).

მსოფლიოს 2 000 ეთნოსს შორის ყაზახებს უკავიათ 70-ე ადგილი. ამჟამად ყაზახეთში ცხოვრობს 8 მლნ ყაზახი (მკვიდრი მოსახლეობა). ყაზახები წარმოადგენენ ევროპეიდურ და მონღოლოიდურ რასას. მათი წინაპრები წარმოადგენენ თიურქულენოვანი და მონღოლური ტომების კავშირს.

ყაზახეთის ოფიციალური ენა არის ყაზახური. იგი მიეკუთვნება ალთაურ ენათა ოჯახის თურქული ენების ჯგუფს. ენათესავება უზბეკურს, ყირგიზულს, თურქმენულსა და თურქულს. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, სახლემწიფო ენა ფაქტიურად იყო რუსული.

1991 წელს მიღებული კანონის თანახმად, რუსული და ყაზახური ენები თანაბაროფიციალურ და თანაბარმნიშვნელოვნად გამოცხადდა, თუმცა რუსული დარჩა სწავლების მთავარ ენად. ხოლო 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, ერთადერთ სახელმწიფო ენად გამოცხადდა ყაზახური ენა. რუსულს კი მიენიჭა ინტერეთნიკური კომუნიკაციის სტატუსი. ის ასევე გამოიყენება სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო საუბრებისათვის და ფართოდაა გავრცელებული საქალაქო დასახლებებში. სასოფლო დასახლებებში ძირითადად ყაზახურ ენაზე საუბრობენ. რაც შეეხება ანბანს, 1940 წლიდან კირილიცას ანბანი

გამოიყენება (მანამდე ლათინური ანბანი გამოიყენებოდა). ყაზახეთში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები თავიანთ ეროვნულ ენებზე და ადგილობრივ დიალექტებზე საუბ-რობენ. ყაზახური ენის გამოყენება საგრძნობლად შემცირდა და ამჟამად ქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცუდად ფლობს მშობლიურ ენას.

ყაზახეთის რელიგიურ მდგომარეობას რაც შეეხება, ყაზახები ტრადიციულად არიან სუნიტური ისლამის მიმდევრები, ხოლო ყაზახეთში მცხოვრები რუსები მართლმადიდებლები არიან.

ყაზახეთის სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა შუა აზიის რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის 60%-ს შეიცავს. ყაზახეთის რესპუბლიკა მდიდარია მინერალური რესურ-სებით, დიდი სამეურნეო დანიშნულების მიწებით, კვალიფიციური პერსონალით. მას გააჩნია მნიშვნელოვანი სამრეწველო პოტენციალი. დღესდღეობით, ქვეყანაში განვითარებულია საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ემყარება არა სახელმწიფო, არამედ კერძო საკუთრებას, თავისუფალ არჩევანს,

კონკურენციას და თავისუფლებას, როგორც სახელმწიფო

ხელისუფლებისაგან, ასევე ძველი ჩვევებისა და ტრადიციებისაგან. გასული ათწლეულის მანძილზე ყაზა-ხეთში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 10-ჯერ გაიზარდა. შედეგად, ყაზახეთს მეზობელი შუა აზიური სახელმწიფოები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან და ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპის ეკონომიკური განვითარების დონეს

მიუახლოვდა. ქვეყნისათვის ეკონომიკური ზრდის მთავარი წყარო არის დიდი პოტენციალის მქონე რესურსების ექსპლუატაცია. ბოლო 15 წლის განმავლობაში, ენერგეტიკის განვითარებაში 100 მლრდ დოლარის

დაბანდების შემდეგ, ყაზახეთის მთავრობა შემდეგი ათწლეულის მანძილზე მსგავსი ინვესტიციის გაღებას აპირებს. იმ შემთხვევაში, თუ ყაზახეთმა შემდეგი ათწლეულის მანძილზე ნავთობის წარმოების გაორმაგებას მიაღწია, ქვეყანა მსოფლიოს ათი უმსხვილესი ნავთობის მწარმოებელი სახელმწიფოების ექსკლუზიურ კლუბს შეუერთდება.

ყაზახეთი არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაური არის პრეზიდენტი, ნურსულთან ნაზარბაევი, რომელიც ქვეყანას მართავს 1990 წლიდან. საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი, რომელიც შედგება სენატებისა (47 წევრი) და მაჟილისისაგან (67 წევრი).

ყაზახეთი არის შემდეგი ორგანიზაციების წევრი: დსთ (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა); ეუთო (ევროპის უშიშროების თანამშრომლობის ორგანიზაცია); გაეროს წევრია სამშვიდობო ძალისხმევის ეგიდით; ასევე არის ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობის წევრი. ყაზახეთი არის ნატოს პარტნიორი ქვეყანა და ევროკავშირთან აქვს მჭიდრო ურთიერთობები. ყაზახეთმა 1992 წელს სომხეთთან, ყირგიზეთთან, რუსეთთან და უზბეკეთთან ერთად გააფორმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულება. ყაზახეთს ორმხრივი კონტაქტები აქვს რუსეთთან, ჩინეთთან, აშშ-თან, თურქეთთან, გერმანიასთან.

ყაზახეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ქვეყანაა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყაზახეთმა მოახერხა მალევე გამოსულიყო ეკონომიკური კრიზისიდან. ჩემი აზრით, ყაზახეთის მიერ განხორციელებული ეკონომიკური ტრანსფორმაცია საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა. ქვეყანამ შეძლო რიგირ პრობლემების დაძლევა

და მდგრადი ეკონომიკის შექმნა. თუმცა, ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობის მიღმა უამრავი პოლიტიკური პრობლემაა დაგროვილი, რამაც შეიძლება ქვეყნის წინსვლას ხელი შეუშალოს.

ცენტრალური აზია - მოკლე ისტორიული მიმოხილვა

4-08-2013

გიგი კუბლაშვილი, გიორგი ლორია

ცენტრალური აზიის რეგიონი დასავლეთ ჩინეთიდან კასპიის ზღვამდე და სამხრეთ რუსეთიდან ინდოეთის ჩრდილოეთამდეა გადაჭიმული. საბჭოთა პერიოდში მას შუა აზიას უწოდებდნენ, თუმცა დღემდე კონკრეტულად არ არის განსაზღვრული არც მისი სახელწოდება და არც საზღვრები. შედეგად, არავის შეუქმნია ევრაზიის ამ კონკრეტული ნაწილის ისტორიული აღწერილობა. პირველ რიგში, ძნელია რეგიონის ისტორიის შექმნა, რადგან სპეციალისტები ცდილობენ ერთ განსაზღვრულ ქვეყანაზე მოახდინონ ფოკუსირება. გარდა ამისა, მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ცენტრალური აზიის უზარმაზარ ტერიტორიაზე ძნელი იყო ერთი რომელიმე ქვეყნის იდენტიფიკაცია.

ასევე, საუკუნეების მანძილზე, რეგიონი მოქცეული იყო სხვადასხვა იმპერიების ფარგლებში. წინა საუკუნის მეორე ნახევრში კი ცენტრალური აზია მოექცა, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირისა და, მეორე მხრივ, ჩინეთის (სინძიან-უიღურების ავტონომიური ოლქი) საზღვრებში, რამაც გაამლიერა იზოლაცია და მსოფლიოს მკვლევრებისთვის უფრო გააძნელა რეგიონის შესწავლა.

სრულიად უცნობია ცენტრალური აზია ქართველების დიდი ნაწილისთვის, მიუხედავად მჭიდრო ისტორიული, კულტურული და ძალიან ხშირად პოლიტიკური კავშირებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაში. პროცესი დღესაც გრძელდება და ჩვენი ორი რეგიონის თანამედროვეობა ისევ გადაჯაჭვულია ერთმანეთთან.

კულტურულ-ეთნიკური მრავალფეროვნებისა და საუკუნეების მანძილზე მოძრავი საზღვრების მიუხედავად, არსებობის უმეტეს პერიოდში რეგიონი ემორჩილებოდა რამდენიმე ფაქტორს. პირველ რიგში, ბუნებრივი პირობები იძულებულს ხდიდა ადგილობრივ ხალხებს მდინარეებთან (სირდარია და ამუდარია) ახლოს შეექმნათ ქალაქები. იგივე პირობები (მშრალი სტეპები) ხელს უწყობდა ცხენებით მომთაბარე ტომებს ებატონათ რეგიონში. და რაც მთავარია: ზემოაღნიშნულ ქალაქებზე, მდინარეებსა და მომთაბარეთა სტეპებზე გადიოდა ცნობილი „დიდი აბრეშუმის გზა“ და სულ ახლახან აღმოჩენილი „დიდი ინდური გზა“. საინტერესოა, რომ „დიდი ინდური გზა“ აბრეშუმის გზამდე ადრე გაჩნდა და, ინდოეთიდან ცენტრალური აზიისა და კავკასიის გავლით, შავი ზღვის პორტების გამოყენებით, აღმოსავლეთის უდიდეს ნაწილს აკავშირებდა ევროპასთან. ნიშანდობლივია, რომ ამ გზის აღმომჩენია უზბეკეთის რესპუბლიკაში მოღვაწე, ქართული წარმოშობის აკადემიკოსი, ედვარდ რთველაძე, რომელიც პირველი იყო, ვინც შეძლო დაეწერა ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ცივილიზაციების, პირველ რიგში, უზბეკეთის ისტორია.

დღეს ცენტრალური აზია შედგება ხუთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისგან: ყაზახეთი - ჩრდილოეთით, ყირგიზეთი - ჩრდილო-აღმოსავლეთით, ტაჯიკეთი - სამხრეთ-აღმოსავლეთით, თურქმენეთი - კასპიის ზღვიდან ამუდარიის შუა წელამდე და უზბეკეთი, რომელიც მოქცეულია ამუდარიასა და სირდარიას შორის (შუა საუკუნეებში მავერანაჰრის რეგიონი). თუმცა, ისტორიული და კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით, ცენტრალურ აზიას ხშირად მიაკუთვნებენ მონღოლეთს, ავღანეთს, ჩრდილოეთ პაკისტანს, ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანს, ჩრდილო-დასავლეთ, დასავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთს, ცენტრალურ ჩინეთს, ტიბეტს, შიდა მონღოლეთსა და ციმბირის სამხრეთსაც.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8-7 საუკუნეებში შუა აზიაში სკვითები გამოჩნდნენ. მათ პირველებმა დატოვეს საგრძნობი კვალი რეგიონის ისტორიაში. თუმცა, მოგვიანებით მოსული სხვა მომთაბარეების მსგავსად, მათ დიდხანს ვერ მოიკიდეს ფეხი ცენტრალურ აზიაში. აღსანიშნავია, რომ მათი ცივილიზაციის

დაკნინებაში, ტომობრივი საზოგადოებისა და ქალაქების მცხოვრებლებთან ასიმილაციის გარდა, დიდი როლი მიუძღვის ალკოჰოლის გადაუტანლობას. იგივე პრობლემა გაუჩნდათ მონღოლებსაც, რამაც საგრძნობლად შეამოკლა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა და შეასუსტა მათი მებრძოლი სულისკვეთება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღესაც შუა აზიის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის ალკოჰოლი ისევე ძნელი გადასამუშავებელია, როგორც ეს იყო ათასწლეულების წინათ. თუმცა, რეგიონში ისლამის გავრცელებამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სკვითებს უწევდათ ბრძოლა სპარსელებთან, რომლებსაც აზიაში შემოჰყვნენ მაკედონელები. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებმა დღევანდელ ტაჯიკეთსა და ავღანეთს მიაღწიეს, სამხრეთით კი - ინდოეთის ჩრდილოეთს. ალექსანდრეს იმპერიის დაშლის შემდეგ ცენტრალურ აზიაში სელევკიდების სახელმწიფო წარმოიქმნა. მანამდე არსებული ბაქტრიის ადგილას შეიქმნა ბერძნულ-ბაქტრიული სამეფო. ასევე არსებობდა ინდურ-ბერძნული სახელმწიფოც, რომლებსაც მოჰყვა კუშანების სახელმწიფო.

ძველი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში ცენტრალურ აზიაში გამოჩდნენ ჰუნები, უფრო სწორად, მათი წინაპრები, რომლებმაც ჩინური ჰანის სახელმწიფოსთან ბრძოლებში ამოწურეს თავიანთი რესურსები და ევროპისკენ გადასახლდნენ. მათ მიგრაციას უიგურების თურქული ტომებიც დაეხმარნენ. უიგურები იყვნენ პირველი თურქულენოვანი ტომები ცენტრალურ აზიაში. მათ შექმნეს პირველი, არამეულზე დაფუძნებული რეგიონული ანბანი. უიგურები გახდნენ სპარსეთისა და ჩინეთის დამაკავშირებლები. მათ შეიტანეს ისლამი ჩინეთში და ჩინური კულტურა გააცნეს სპარსელებს.

ჩვენი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნისთვის ცენტრალურ აზიაში უკვე მყარად მოიკიდა ფეხი ისლამმა არაბი და სპარსი ვაჭრების წყალობით, რომლებიც აბრეშუმისა და ინდოეთის გზებს მიჰყვებოდნენ. მე-10 საუკუნისთვის ქალაქებში სამარყანდსა და ბუხარაში უკვე მეჩეთები შენდებოდა. თუმცა, ამ დროისთვის სპარსეთისა და ჩინეთის დაკნინებამ რეგიონს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებლის ფუნქცია დაუკარგა, რამაც თვითონ ცენტრალური აზია საკმაოდ უკან დახია.

მე-13 საუკუნიდან მონღოლებმა ახალი ბიძგი მისცეს ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და მათ მოსაზღვრეებს, პირველ რიგში, სპარსეთსა და ჩინეთს. მონღოლური იმპერია თვალუწვდენელ ტერიტორიას მოიცავდა, სადაც ცენტრალურ აზიას დაუბრუნდა კულტურათა დამაკავშირებლის ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ მონღოლთა იმპერიის დაცემის შემდეგ ცენტრალური აზიის, როგორც ფუნქციონალური რეგიონის როლი შესუსტდა. ჩინეთი მონღოლების შემდეგ გახდა იზოლირებული სახელმწიფო, რომელსაც აშინებდა ყველაფერი უცხოური. სპარსეთმა კი მე-16 საუკუნის დასაწყისში მიიღო ისლამის შიიტური ფორმა, რითაც ურთიერთობა გაუფუჭდა დასავლეთსა და აღმოსავლეთით მდებარე მუსლიმანურ სახელმწიფოებთან. ხსენებულმა მოვლენებმა ცენტრალურ აზიას მნიშვნელობა დააკარგვინეს. რეგიონის სტაგნაციას დაეხმარა საზღვაო მარშრუტების განვითარება და, შესაბამისად, ახალი სავაჭრო გზების შექმნაც.

მე-18 საუკუნისთვის რუსეთმა და ჩინეთმა განავითარეს სავაჭრო ურთიერთობები, თუმცა, პროცესი საკმაოდ დაძაბულად მიდინარეობდა. ვერც ერთი იმპერია ბოლომდე ვერ ენდობოდა მეორეს. ორივე ცდილობდა ბუფერული ზონის შექმნას, რომლის ფუნქცია ისევ ცენტრალურ აზიას დაეკისრა. შედეგად, ჩინეთმა მოიპოვა გავლენა რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილზე, რუსეთმა კი გაამყარა თავისი პოზიციები ჩინეთში. მე-19 საუკუნეში „დიდ თამაშში“ ჩაება ბრიტანეთის იმპერიაც, რომელიც თავისი მხრიდან ცდილობდა ბუფერის შექმნას ინდოეთსა და რუსეთს შორის. ამან გამოიწვია ის, რომ რუსეთი ბოლომდე შევიდა ცენტრალურ აზიაში. რუსეთის იმპერიის ფარგლებში რეგიონი შევიდა თურქესტანის სახელწოდებით, რომელიც მოიცავდა დღევანდელი ცენტრალური აზიის ხუთ ქვეყანას. ეს მხარე შემდგომში საბჭოთა კავშირის შუაზიურ რესპუბლიკებად გადაკეთდა.

მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე ცენტრალური აზიის რეგიონი მოექცა რუსეთის, ჩინეთისა და ბრიტანეთის გავლენის ქვეშ. 21-ე საუკუნეში ცენტრალურმა აზიამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა როგორც საერთაშორისო ეკონომიკაში, ისე უსაფრთხოების კუთხით. სატრანზიტო

ფუნქციის გარდა, მას დაემატა ენერგომატარებლების ექსპორტიორის ფუნქციაც.

რუსეთის იმპერიამ და შემდგომში საბჭოთა კავშირმაც სამუდამოდ შეცვალეს ცენტრალური აზიის ხალხების ცხოვრების წესები და არსებული სახელმწიფოები, რომლებიც შეიქმნა სხვადასხვა ხალხებისა და კულტურების საფუძველზე. ბრიტანეთის მიერ მართულ ინდოეთში, პაკისტანსა და განსაკუთრებით ავღანეთში ჯერ კიდევ მიმდინარეობს სახელმწიფოების ბოლომდე ჩამოყალიბების პროცესი. ჩინურ უიგურების ოლქშიც შიგადაშიგ ხდება ავტონომიის ხარისხთან დაკავშირებული არეულობები. დღესაც გრძელდება ცენტრალური აზიის ზრდა და განვითარება და, როგორც მრავალი საუკუნის წინ, დღესაც მრავალი მახასიათებლით განსხვავებული მოთამაშეები ებრძვიან ერთმანეთს რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა სახელმწიფომ გააღრმაოს და განავითაროს ის ურთიერთქმედება, რომელიც ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ბოლო წლებში, თუმცა, გასათვალისწინებელია ის სპეციფიკა, რომელიც ახასიათებს რეგიონის ყველა ქვეყანას. აღმოსავლეთი შეცდომებს ძნელად პატიობს.

ჰttp://ფერა.ბიზ/110-ცენტრალურ-აზია-მ ოცდ-ასრულდ მ ძ ოლ.ჰტ ლ

განვითარების ხუთი სცენარი ცენტრალური აზიისთვის

9-12-2013

გიორგი ტიანშანსკი

ავღანეთიდან კოალიციის ჯარების გასვლის მოახლოვებასთან ერთად, სულ უფრო აქტიურად განიხილება მოვლენათა განვითარების სხვადასხვა სცენარი, ამჯერად განვიხილოთ რუსი მკვლევარების მიერ წარმოდგენილი ვარიანტები, რომლებიც, ვფიქრობ, საქართველოსთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

ცენტრალური აზია გადადის ჩინეთის ხელში. ჩინეთი ისარგებლებს აშშ-ს პოზიციების შესუსტებით, ევროკავშირის უმოქმედობით, რუსეთის პასიურობით.

ჩინეთის პოზიციების გაძლიერება მოხდება ნაბიჯ-ნაბიჯ, ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, რაც დროდადრო შეჯერდება პოლიტიკური ნაბიჯებითაც, რასაც დაემატება ე.წ. „რბილი ძალა" ენისა და კულტურის ელემენტების შემოტანით და დამკვიდრებით რეგიონის ამა თუ იმ ქვეყანაში. ამ თამაშში, რუსი ექსპერტების აზრით, ჩინეთს დაეხმარება მისი მოკავშირე პაკისტანიც, რომელიც ხელს შეუწყობს ისლამისტი ექსტრემისტების გავლენისა და ენერგიის მიმართვას დასავლეთის გავლენის წინააღმდეგ. ექსპერტების აზრით, 50-60 წლის შემდეგ შეიქმნება ახალი რეალობა ტერიტორიულად გაფართოებული ახალი ჩინეთის სახით.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეინტეგრაცია. ამ სცენარის მიხედვით, რუსეთი აქტიურდება ცენტრალურ აზიაში და ტოტალურად აბრუნებს რეგიონს თავის გავლენის სფეროში, ლოგიკა ამ შემთხვევაში ასეთია: ცენტრალური აზია უმდიდრესი რეგიონია, რეგიონის გაღატაკება გამოიწვიეს მმართველმა ელიტებმა. ნავთობისა და გაზის და სხვა წიაღისეულის გადანაწილების პერსპექტივები არის მთავარი თემა, რომელიც ამოძრავებს აშშ-ს, ევროპას და ჩინეთს.

რუსი ექსპერტების აზრით, ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირის რეანიმაციის შესაძლებლობა დღითიდღე მატულობს, თუმცა, ჯერეჯერობით ნაკლებად შესაძლებელია.

რეგიონის ინტეგრაცია. აღნიშნული სცენარი განიხილებოდა 90-იან წლებში, ამ სცენარის მიხედვით, ცენტრალური აზია ერთიანდება ერთიან კავშირში (ევროკავშირის მსგავს გაერთიანებაში) – აღნიშნული მოდელის ლობისტად გვევლინება აშშ. ამ იდეის მიხედვით, კავშირში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გარდა, უნდა გაერთიანდნენ ავღანეთი და პაკისტანი.

ხალიფატი. არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლოა, ცენტრალური აზიის ქვეყნებმა მოახერხონ და აშშ-ს გარეშეც გაერთიანდენ. აღნიშნული სცენარის საფუძველში დევს ისლამი და ისლამური ექსტრემიზმის ზრდა. ეს სცენარი რუსეთისათვის კატასტროფულად არის შეფასებული,

რადგან, ექსპერტების აზრით, ასეთი სახის გაერთიანება დაიწყებს ომს რუსეთის კავკასიაში, რაც თავისთავად ახალი ძალით გააღვივებს ჩეჩნეთისა და დაღესტანის სწრაფვას გახდნენ რუსეთისგან დამოუკიდებლები.

რეგიონის დეზინტეგრაცია. რუსი პოლიტოლოგების აზრით, რაშიც ძნელია მათ არ დაეთანხმო, ცენტრალური აზიის დღევანდელი საზღვრები ძირითადად საბჭოთა პერიოდის 20-30-იანი წლების პროდუქტია, ხშირ შემთხვევაში ხელოვნურად შეკოწიწებულიც. საზღვრების გატარების დროს იგნორირებული იყო ტომობრივი, რეგიონალური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ენობრივი განსაკუთრებულობები. აღნიშნული პრობლემები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე გროვდებოდა, ამ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, თავისთავად აჩენს იმ სირთულეებს, რომლებიც, შესაძლებელია, არსებული ქვეყნების დაშლა-დაქუცმაცების სერიოზული მუხტი გახდეს, რაც, ექსპერტების აზრით, იმ სამოქალაქო და, ხშირ შემთხვევაში, ეთნიკური დაპირისპირებების თანმხლები იქნება, რომელთა შეჩერებაც და რაღაც ახალ გაერთიანებაში თავმოყრა ამ წერტილიდან, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

რუს ექსპერტებს აღნიშნული სცენარებიდან ყველაზე რეალურად ეჩვენებათ ცენტრლური აზიის ე.წ. ჩინეთიზაცია. ისინი ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში რუსეთს შეეძლება შედარებით წყნარად იყოს, რადგან მთელს რეგიონში დამყარდება გარკვეული წესრიგი, რომელიც რუსეთისათვის მაინცდამაინც სასიამოვნო ვერ იქნება, თუმცა, სტაბილურობა ამ რეგიონში, რუსეთს მაინც უტოვებს მანევრის საშუალებას.

ვფიქრობთ, ხუთივე წარმოდგენილი სცენარი სხვადასხვა ალბათობით რეალურია. საქართველოს ინტერესებში შედის სტაბილური და მეგობრული ცენტრალური აზია. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის ერთ-ერთი პარამეტრი არის ის უმოკლესი გზა ცენტრალური აზიისაკენ, რომელიც გადის კავკასიაზე, კერძოდ აზერბაიჯანზე და საქართველოზე. თუ ცენტრალური აზია მოიცვა ქაოსმა და არეულობამ, შესაძლოა დასავლეთისთვის ჩვენი მნიშვნელობაც შემცირდეს.

კავკასია და ცენტრალური აზია: მომავლის გზა

მოსაზრება(05.06.2013)

მინ ჟუ- საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმკარგულებელი დირექტორის მოადგილე

ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები ბოლო 20 წლის განმავლობაში შთამბეჭდავად გარდაისახნენ ცენტრალურ-გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკებად. თუმცა, დინამიკურ, აღორძინებად, საბაზრო ეკონომიკად გადაქცევამდე კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი.

და მაინც, რა ვისწავლეთ ამ გარდასახვის პროცესში? კიდევ რა არის საჭირო საბაზრო და აღორძინებადი ეკონომიკის ხედვის და სტატუსის მისაღებად? სწორედ ეს საკითხები განიხილებოდა მაღალი დონის კონფერენციაზე "კავკასია და ცენტრალური აზია - გარდასახვის განვლილი და სამომავლო გზა" ყირგიზეთის რესპუბლიკის დედაქალაქში, ბიშკეკში, 19-21 მაისს.

ნება მომეცით, გაგიზიაროთ ძირითადი მოსაზრებები, რომლებიც გამომყვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, შვეიცარიის ხელისუფლებისა და ყირგიზეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ ერთობლივად ორგანიზებული კონფერენციიდან.

მიღწეული წარმატება - კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 7% იყო 1996-2011 წლებში. ამ შთამბეჭდავ ტენდენციას განაპირობებდა რესურსებუხვი სექტორების დინამიკა და თანხების გადმორიცხვების ძლიერი ნაკადები.

რეგიონის პოლიტიკის განმსაზღვრელებმა წარმატებით მოახერხეს ინფლაციის შეკავება და საპროცენტო განაკვეთების შემცირება; ასევე ისეთი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელება, რომელმაც ქვეყნებს შეუქმნა ფისკალური ბუფერი და შეაძლებინა, მეტი ხარჯთწარმოებით

გაეძლიერებინათ ეკონომიკა, მაშინ როდესაც გლობალური ფინანსური კრიზისის ეფექტმა მთელი რეგიონი მოიცვა. კავკასიისა და ცენტრალური აზიის ფინანსური სექტორები შედარებით გაღრმავდა; ძლიერი საკანონმდებლო ჩარჩო სისტემა დაინერგა საბანკო სისტემისთვის.

სამომავლო გზა - კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებმა უნდა ისარგებლონ სასაქონლო ფასების და ფულადი გადმორიცხვების ამჟამინდელი სიძლიერით და ამბიციური რეფორმები განახორციელონ. კონფერენციის ყველა დამსწრემ დაადასტურა, რომ კერძო სექტორის აქტივობით განპირობებული ძლიერი ეკონომიკური ზრდა, რომელსაც ნაკლები რყევები ახლავს, მეტ სამუშაო ადგილს შექმნის და რეგიონის ქვეყნებს შემდეგი თაობის აღორძინებადი ბაზრების რიგში გადაიყვანს.

ამდენად, მომავალი ათწლეული კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის იქნება შესაძლებლობა, მოახდენონ ეკონომიკის დივერსიფიცირება და შეამცირონ მოწყვლადობა სასაქონლო ფასებისა და გადმორიცხვების (რემიტანსების) ცვალებადობის თანმხლები შოკების მიმართ.

სხვა გამოწვევები აღორძინებად ბაზრად ჩამოყალიბების გზაზე შემდეგია: ნაკლებად განვითარებული ფინანსური სექტორები, მერყევი ინფლაცია, არასაკმარისი ფისკალური ბუფერი სამომავლო, საგარეო და სხვა შოკების ნეიტრალიზაციისთვის, დაინტერესებული ჯგუფების მიერ შესუსტებული გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, ასევე გეოპოლიტიკური რისკები.

კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებმა გაბედული ნაბიჯები უნდა გადადგან ამ გამოწვევების გასანეიტრალებლად და დასახული აღორძინებადი ბაზრის ხედვის მისაღწევად. რაც შეეხება მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, ამ რეგიონის ქვეყნებმა შეიძლება გააძლიერონ საგადასახადო შემოსავლების მობილიზაცია და ხარჯების განხორციელებისას აქცენტი გააკეთონ მთავრობის ძირითად პრიორიტეტებზე, როგორიცაა ინფრასტრუქტურა და სოციალურ საჭიროებებზე - იმავდროულად უნდა აღდგინონ ფისკალური ბუფერი, რომელიც შოკების გაუვნებელყოფას შეძლებს.

დასაშვებია გაცვლითი კურსის მეტი მოქნილობა, რაც საერთაშორისო რეზერვების შენარჩუნებაში დაეხმარება და გააძლიერებს ამ გარდამავალი ეკონომიკების კონკურენტუნარიანობას.

კერძო ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა სტრუქტურულ რეფორმების გაძლიერება, მათ შორის ფინანსურ სექტორშიც. ფინანსურ სექტორში კონკურენციის ზრდისათვის საჭიროა სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის შეზღუდვა, გონივრული წესების და საბანკო კანონმდებლობის თანაბარი მისადაგება ყველა ბანკის მიმართ, და ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის სრული დაცვა.

ღრმა, უფრო მოქნილი და უკეთ რეგულირებული ფინანსური სისტემა გადამწყვეტ როლს ითამაშებს რეგიონის დივერსიფიცირებული და სამუშაო ადგილების შემქმნელი ზრდის უზრუნველსაყოფად და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელებს შესაძლებლობას მისცემს, უკეთ მართონ შოკები და ინფლაცია.

რეგიონული ინტეგრაციის ზრდა კიდევ ერთი შესაძლებლობაა, რომელიც ამ ქვეყნებს ეკონომიკის გაძლიერების საშუალებას მისცემს. რეგიონის ბევრმა ქვეყანამ წარმატებით იპოვა ევროპასა და ჩინეთში ახალი სარეალიზაციო ბაზრები ისეთი საქონლისთვის, როგორიცაა ნავთობი, გაზი, ბამბა და ოქრო.

თუ ეს ქვეყნები ეხლა მოახერხებენ რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას რეგიონის შიგნით ვაჭრობის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრით და ისეთი სამეზობლო საკითხების მოგვარებით, როგორიცაა ტრანსპორტირება, ენერგეტიკა და წყალი, ისინი საკუთარ ქვეყნებს კიდევ უფრო მნიშვნელოვნად განავითარებენ და ზრდის პოტენციალს შემატებენ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მზადაა, დაეხმაროს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებს მათი მიზნის მიღწევაში - აღორძინებად ბაზრებად სრულფასოვან ჩამოყალიბებასა და არსებული გამოწვევების წარმატებით დაძლევაში. ჩვენი დახმარება გამოიხატება ეკონომიკური პოლიტიკის რჩევებით, ფინანსური დახმარებით და სწავლების ღონისძიებებით. ყოველივე ეს დაეხმარება რეგიონს ფუნდამენტური მიზნების - მაღალი, მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევაში.

უზბეკეთი ცენტრალური აზიის ჩინეთად იქცევა

ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს სულ უფრო მეტად აშფოთებთ უზბეკეთის სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, რაც სერიოზულ პრობლემებს უქადის რეგიონის სხვა ქვეყნებს. უზბეკი ექსპერტების პროგნოზის თანახმად, 2025 წელს უზბეკეთის მოსახლეობა 33 მილიონ ადამიანს მიაღწევს. აქედან 22 მილიონი იქნება სოფლის მოსახლეობა. 2040 წელს უზბეკეთის მოსახლეობა 40 მილიონს გადააჭარბებს.

მოსახლეობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს წინ სარწყავი ფართობების ზრდას. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში სარწყავი სახნავი მიწების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა 0,22-დან 0,12 ჰექტარამდე. უკვე დღეს სარწყავი სასოფლო-სამეურნეო მიწების ერთ ჰექტარზე მოდის 8,3 ადამიანი. საერთაშორისო სტანდარტებით ესაა ძალზედ მაღალი მაჩვენებელი. 2025 წლისათვის ქვეყნის მოთხოვნილება წყალზე, თუკი შენარჩუნდება დემოგრაფიული ზრდის ახლანდელი ტემპები, იქნება 72 მილიარდი კუბური მეტრი წელიწადში, რაც მნიშვნელოვნად ჭარბობს წყლით მომარაგების ახლანდელ მასშტაბებს. არადა წყლით მომარაგება გაზრდის მაგიერ შეიძლება შემცირდეს ეკოლოგიური და კლიმატური პროცესებიდან გამომდინარე.

ექსპერტთა აზრით, უკვე საშუალოვადიან პერსპექტივაში უზბეკეთი პოლიტიკურ-დემოგრაფიული თვალსაზრისით ცენტრალური აზიის რეგიონისათვის იქცევა ისეთივე ფაქტორად, როგორიც ჩინეთია მსოფლიოსათვის. შედეგად რეგიონი აღმოჩნდება ორი ძლიერი და დინამიური სისტემის ზეგავლენის ქვეშ. ერთი იქნება ცენტრალური აზიის შიგნით, მეორე კი მის გარეთ.

უზბეკეთი ცდილობს როგორღაც გაუმკლავდეს ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე "ჭარბ" დემოგრაფიულ ზეწოლას. 1990-იანი წლების შუახანებიდან ქვეყანაში ტარდებოდა იმპორტის ჩანაცვლებისა და თანდათანობითი პრივატიზაციის პოლიტიკა. აგრარული სექტორის წილი მშპ-ში შემცირდა 1991 წლის 36%-დან 2008 წელს 21%-მდე. მრეწველობის წილი გაიზარდა 28%-დან 34%-მდე. 1991 წლის ბამბის ექსპორტი რესპუბლიკის მთლიანი ექსპორტის

77,7%-ს შეადგენდა, 2008 წელს კი 9%-ს. მეორე მხრივ ამ პოლიტიკამ ვერ გადაწყვიტა არსებული პრობლემები – აქცენტი კეთდებოდა მსხვილი წარმოებების მშენებლობაზე, რომელთაც იმპორტი უნდა ჩაენაცვლებინათ, მაგრამ ამას არ მოჰყოლია სამრეწველო-ტექნიკური ნახტომი განვითარებაში. ამ პროექტების ნახევარზე მეტი არარენტაბელური აღმოჩნდა.

ანუ უზბეკეთის დემოგრაფიულ ზრდას "ვერ გადაყლაპავს" ქვეყნის ეკონომიკის შიდა შესაძლებლობები. უზბეკეთი იძულებული იქნება შრომითი რესურსების "ექსპორტი" განახორციელოს. არსებითად ამ გზით წყდებოდა პრობლემები უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში.

შუა აზიაში შესაძლებელია "ომი წყლის გამო"

გერმანელი ექსპერტის ალექსანდრ რარის განცხადებით, როდესაც ლაპარაკობენ შუა აზიაში მოსალოდნელ ომზე "წყლის გამო" იგულისხმება ის ახალი საფრთხეები, რაც წარმოიქმნება უახლოეს მომავალში ევრაზიის ამ ნაწილში.

უკანასკნელ წლებში მწვავდება პოლიტიკური კონფლიქტი შუა აზიის წყლის რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით. იქ მთავარი მომხმარებლები არიან უზბეკეთი და ყაზახეთი, ხოლო წყლის ძირითადი "მფლობელები" – ტაჯიკეთი და ყირგიზეთი.

ცენტრალური აზია პლანეტის უნიკალური რეგიონია. მისი ფართობი – თითქმის 5,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი – მეტია ევროკავშირის ფართობზე, მაგრამ მოსახლეობის ოდენობით რვაჯერ ჩამოუვარდება ევროკავშირს. რეგიონი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მაგრამ სულ უფრო მწვავედ იჩენს თავს წყლის დეფიციტთან დაკავშირებით პრობლემები. ეს განსაკუთრებით იგრძნობა არალისპირეთში. ამ პრობლემას ცენტრალური აზიის ქვეყნები თავისი ძალებით ვერ გაუმკლავდებიან.

შუა აზია: „გადატვირთვა” არ უშველის!

ორშაბათი, 28 ივნისი, 2010

7 აპრილს მსოფლიო ცდილობდა, მიეკვლია რუსული ანაბეჭდისთვის ყირგიზეთის გადატრიალებასა და პრეზიდენტ

კურმანბეკ ბაკიევის ჩამოგდებაში. ამერიკის მაგალითიდანაც ჩანს, რომ რეჟიმის შეცვლამ შეიძლება სოციალური დაძაბულობა გამოიწვიოს. როგორც ჩანს, მოსკოვს კარგად გამოსდის დამსხვრევა, მაგრამ არ შეუძლია გატეხილის შეწებება.

კვირებიც არ დასჭირდა ეთნიკური ყირგიზებისა და უზბეკების ერთმანეთთან გადაკიდებას. პრეზიდენტ როზა ოტუნბაევას დროებითი მთავრობა უუნარო ან უნებისყოფო აღმოჩნდა უზბეკების დასაცავად ყირგიზული ბანდებისა და სამხედრო ქვედანაყოფებისაგან.

სამხრეთ ყირგიზეთში ეთნიკური ყირგიზები, უზბეკები და ტაჯიკები მოქცეულები არიან სტალინის დროინდელ საზღვრებში, რომელიც სწორედ ეთნიკური შუღლის გასაღვივებლად დააწესეს.

პრობლემის თავი და თავი ნაყოფიერი ფერგანას ველია, რომელსაც სამი ქვეყანა იყოფს. უზბეკეთი ფლობს ხეობას, ყირგიზეთი - გარშემო მთებს, ტაჯიკეთი კი - განაპირა ნაწილს, საიდანაც ხეობაში მდინარე სირ დარია მოედინება.

უზბეკეთი ტაჯიკეთთან ურთიერთობაში ელექტროენერგიითა და გაზით მანიპულირებს. დუშანბე მდინარე ვახშის შევიწროებას აპირებს, რაც გამოიწვევს ნაკადის შემცირებას უზბეკეთისაკენ. პასუხად, ტაშკენტმა ტაჯიკეთისკენ მიმავალი სარკინიგზო ხაზი დაახშო.

ყირგიზეთის საზღვართან უზბეკეთის სამი მოწყვეტილი ნაწილის არსებობა უფრო ძაბავს ურთიერთობას. მიმოსვლა, მწყემსვის უფლება და წყალი ის სადავო საკითხებია, რამაც ყირგიზები და უზბეკები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განაწყო ბოლო კვირების განმავლობაში.

არალის ზღვის დაშრეტასთან ერთად მთელი რეგიონი შრება. მოსახლეობის რჩენა ძნელდება, რაც დაპირისპირებას უფრო ამწვავებს. ამას დაუმატეთ რეგიონის სიახლოვე ავღანეთთან, მილსადენები, ბუნებრივი რესურსები, ნარკოტრეფიკი, ორგანიზებული დანაშაული და რადიკალური ისლამისგან მომავალი პოტენციური საფრთხე. შედეგად, მივიღებთ მუდმივ შფოთვას - მღელვარებას, რომელიც აუცილებლად მიიპყრობს რეგიონში მოქმედი ექვსი უმთავრესი ძალისა და გაძლიერებული უზბეკეთის ყურადღებას.

რეგიონი მეტწილად ამერიკისა და რუსეთის ყურადღებას მოითხოვს. მათი ბაზები რამდენიმე კილომეტრშია ერთმანეთისგან და ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკიდან.

„გადატვირთვის" პოლიტიკის ერთგული ვაშინგტონი მოსკოვთან თანამშრომლობით კმაყოფილდება, გასცემს ათი მილიონი დოლარის ჰუმანიტარულ დახმარებას და საშუალო დონის დიპლომატს ავალებს სამხრეთ ყირგიზეთში მომხდარი მოვლენების გამოძიებას (დიპლომატები იკვლევენ მაშინ, როცა არ იციან, სხვა რა აკეთონ).

რუსეთმა 500 პარაშუტისტ-მედესანტით გაამაგრა ბაზა და ოტუნბაევას ძალოვნები გაუგზავნა დასახმარებლად, მაგრამ უარი უთხრა სამშვიდობო ძალებით დახმარებაზე. გრძელი ლოჯისტიკური ხაზითა და დასუსტებული არმიით მოსკოვი არ რისკავს უზბეკებთან შებმას.

ტაშკენტს არ მოსწონს თავისი სამხრეთ საზღვარი და მგზნებარედ სურს, დაიცვას ეთნიკური უზბეკები. შუააზიური სტანდარტებით, უზბეკეთი ძლიერი ქვეყანაა. შესაძლოა მან კონფლიქტი საზღვრების შესაცვლელად და რეგიონალური მნიშვნელობის გასაზრდელად გამოიყენოს.

უზბეკეთის მზარდი მნიშვნელობა არ გამოჰპარვია ინდოეთს, რომელიც ბუნებრივად დაინტერესებულია პაკისტანით, ავღანეთითა და სხვა მიმდებარე ქვეყნებით. ახალი დელი ამყარებს სამხედრო კავშირს ტაშკენტთან და, ამავდროულად, ინარჩუნებს ფახორის საჰაერო ბაზას ტაჯიკეთში.

ჩინეთს ეშინია, შუააზიური მღელვარება ქსინიანის მოუსვენარ რეგიონსაც არ მოედოს. თურქმენეთ-უზბეკეთ-ყაზახეთ-ჩინეთის 40 მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის მილსადენი ყირგიზეთის ჩრდილოეთ საზღვართან გადის, რომლითაც იგი ყაზახეთს ემიჯნება. უზბეკეთ-ყირგიზეთ-ჩინეთის რკინიგზა კი ზუსტად ყირგიზეთის სახიფათო რაიონშია განლაგებული. ამ ხაზით დაინტერესებულია თურქეთი და ირანიც.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, აჰმეტ დავითოღლუ, ყაზახეთში იმყოფებოდა, ყირგიზეთის დახმარების კოორდინირებისთვის. დახმარებას აგზავნის თურქული ფონდიც, რომელიც დაუპირისპირდა ისრაელის სამხედროებს ღაზას

სანაპიროსთან. ინდოეთის მსგავსად, ირანიც დაინტერესებულია პაკისტანით, ავღანეთითა და სხვა მიმდებარე ქვეყნებით. თეირანში კი ყოველთვის ეძებენ შესაძლებლობას, განავრცონ ისლამური რევოლუცია.

ახლა რადიკალური ისლამი თითქოს განდევნილია შუა აზიიდან, მაგრამ ყირგიზეთის სახელმწიფოებრიობის ჩამოშლა კვლავ დააბრუნებს მას სარბიელზე.

გადაუწყვეტელი პრობლემები და მაღალი გეოპოლიტიკური ფსონი რეგიონს არეულობებით ემუქრება. რუსეთს არც სურდა და არც აქვს სურვილი გაამთელოს ის, რაც გატეხა. მიუხედავად ამისა, რუსეთი ალბათ მალე ჩაერთვება შუააზიურ საქმეებში და არ დაუშვებს ამერიკის გავლენას რეგიონზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ამერიკელ სამხედროებზე. ვაშინგტონს ამ დარტყმის მოგერიება მხოლოდ „გადატვირთვის" პოლიტიკაზე უარის თქმით შეუძლია. იგი უნდა შეეშვას შუა აზიაში საკუთარი ინტერესების დაქვემდებარებას მოსკოვისათვის და უნდა აწარმოოს მხნე დიპლომატია თითოეულ შუააზიურ ქვეყანასთანაც და სხვა გარე ძალებთანაც.

*დევიდ ჯ. სმიტი - საქართველოს უსაფრთხოების ანალიტიკური ცენტრის დირექტორი და პოტომაკის პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი.

ჰttp://www.ganjuji.ge/gegi/52718-სუა-აზია-გადატვირთვა-არ-უსაფრთ

ყაზახეთი _ ჩვენი დიდი მეზობელი

2002-01-16

გაზეთი "ფაინენშელ ტაიმსი" ვრცლად აანალიზებს XXI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ეკონომიკური შეჯახების – ყაზახეთის ნავთობისათვის ბრძოლის – მიმდინარეობასა და პერსპექტივას. ეს პერსპექტივა, რა თქმა უნდა, განუყრელად დაკავშირებულია იმ პოლიტიკური ბრძოლის პერსპექტივასთან, რომელიც საერთოდ შუა აზიაში სტრატეგიული დამკვიდრებისათვის ხდება. შუა აზია, რომელიც მსოფლიო ხმელეთის ცენტრია და ახლო მომავალში ევრაზიაში შესაძლებელი ყველა დიდი ფრონტის პოტენციური ზურგია, უახლოესსა

და ახლო მომავალში განსაზღვრავს საქართველოსთვის სასიცოცხლო არაერთი პრობლემის ბედსაც, სადღეისოდ და მრავალი ათეული წლის მანძილზე. ამიტომ გაზეთ "საქართველომ" 2.IX.2001 წ. თავს უფლება მისცა, ემსჯელა სუპერძალების სასიცოცხლო ინტერესზე ამ რეგიონისადმი, რასაც მსოფლიო-ისტორიული სიტუაციის ანალიზი უკარნახებდა, და თავისი "დიაგნოზი" გამოეთქვა: რომ შუა აზიაში დამკვიდრება ის პირველი მიზანია, რომელიც დასავლელ სუპერძალას აქვს. არ გავიდა ორი კვირა და შუა აზიის აეროდრომებზე მართლაც დაიწყო მძიმე ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავების დაჯდომა, რომელთაც დედამიწის ამ ნაწილს ახალი ისტორიული ვითარების დადგომა აუწყეს.

გაზეთი "საქართველო" აგრძელებს თავის ხაზს – დასავლეთის კომპეტენტური პრესის მასალათა მიმოხილვით საშუალება მისცეს მკითხველს, მსოფლიო პოლიტიკის ძირეული პროცესების მიმართულება და მექანიზმები დაინახოს.

ყაზახეთი, თავისი რესურსებისა და თავისი სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, დღეს ე. წ. "პოსტსაბჭოთა სივრცის" ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანაა (საქართველოსგან განსხვავებით). მის მდგომარეობას მრავალი სხვადასხვა განზომილება აქვს. მაგრამ ჩვენ, ბუნებრივია, ყველაზე არსებითითა და თვალში საცემით – ნავთობით – დავიწყოთ.

I. ნავთობის რაოდენობა.

თენგიზის საბადო, "თენგიზშეროილის" კონსორციუმის ანგარიშით, შეიცავს 730-1125 ათას მილიონამდე მარაგს. დღეს დადასტურებულია, რომ ქაშაგანის ოფშორული (საზღვაო) საბადო თენგიზზე უფრო მდიდარია. "ეჭვი არაა, რომ ჩრდილო კასპია დიდი ახალი ნავთობის რეგიონია. მას აქვს ასობით მომცრო საბადო, რომლებიც სეისმურად დადგენილია, მაგრამ შემოწმებული არ არის". მარტო ქაშაგანის საბადო "ყველაზე დიდია იმ საბადოთა შორის, რაც ბოლო 30 წლის მანძილზე დამუშავებულა მსოფლიოში". კასპია სულ 5 დიდ საბადოს შეიცავს. დანარჩენი ოთხია თენგიზი (ყაზახეთი), ყარაჩაღანაგი (ყაზახეთი), ასტრახანის საბადო (რუსეთი) და ვოლგის დელტისა

(რუსეთი). ჯამში, "ჩრდილო კასპია არის ნავთობის ყველაზე დიდი პროვინცია XXI საუკუნისა"

დღეს ყაზახეთის ექსპორტია 40 მლნ ტონა ნავთობი წელიწადში. აქედან 28 მლნ ტონა მოდის აღთაუდან ნოვორსიისკში ჯერ გემით, მერე ნავთობსადენით. მისი პატრონია კონსორციუმი ჩ ჩ – ჩასპიან ილ ჩონსორტიუმ. მომავალში მასში უნდა გაიაროს 67 მლნ-მა წლიურად, (შედარებისთვის: სუფსაზე გადის 18 მლნ ტონა, ძირითადად – აზერბაიჯანის ნავთობი). ამ გზით ნავთობის მიტანა ნოვოროსიისკამდე ჯდება იმის 1/3, რაც რკინიგზით დაჯდებოდა. ყაზახეთის ხელმძღვანელობა ფიქრობს 2015 წლამდე ექსპორტი 450 მლნ ტონამდე გაზარდოს, მაგრამ პარტნერ ფირმებს ეს ცოტა გადამეტებული ჰგონიათ. ჯამურად, ყაზახეთის ნავთობის სიუხვე "ცუდ სიზმრებს უქადის ოპეკს" ("ნავთობის მწარმოებელ ქვეყანათა ორგანიზაციას", რომელიც არაბულსა და ლათინურ ამერიკულ ქვეყნებს მოიცავს). ამგვარად, გაზეთი" ფაინენშელ ტაიმსი" ადასტურებს იმას, რაც საქართველოში გაზეთ "საქართველოს" გარდა არავის აღუნიშნავს და რაც ამომწურავად ხსნის დასავლეთის ინტერესს შუა აზიის ნავთობისადმი (სხვა, კიდევ უფრო დიდ დასავლურ ინტერესზე ამ რეგიონში აქ აღარ ვლაპარაკობთ): დასავლეთის ამოცანაა შუა აზიის ნავთობის გამოყენება არა მხოლოდ ფინანსური მოგებისთვის, არამედ, პირველ ყოვლისა, ნავთობის მსოფლიო ფასთა რეგულირებისათვის, როდესაც მსოფლიოს მორიგი ენერგოკრიზისი, ანუ საწვავის ფასების ხუთჯერადი და შვიდჯერადი აწევის ორგანიზება მოხდება.

დღეს არსებული ნავთობსადენები – ნოვოროსიისკისა და სუფსისა – გაზეთის სიტყვით, ყაზახეთის საჭიროებისათვის უკმარია. ახალ ნავთობსადენთა აშენება გარდუვალია. რა იქნება მათი მიმართულება და დანიშნულების ადგილი? ამას საქართველოსთვისაც და მისი მეზობლებისთვისაც არსებითი მნიშვნელობა აქვს.

II. ნავთობის საექსპორტო გზები

ყაზახეთის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ მათი მიზანია ნავთობი მსოფლიო ბაზარზე გავიდეს, ხოლო რომელი გზით გავა, ეს მათთვის არსებითი არ არის. ამ დემონსტრაციული მიუკერძოებლობის მიღმა დიდ ინტერესთა რეალური ჭიდაობა დგას. ამ ჭიდაობაში,

გაზეთის აზრით, რუსეთთან მეგობრობის მსურველი ყაზახეთის ჩუმი არჩევანია რუსეთის და ირანის გზა. დღეს რუსეთის გზით (როგორც უკვე ითქვა) – აღთაუდან ნოვოროსიისკამდე – მიედინება 28 მლნ ტონა ნავთობი წლიურად, ხოლო სამომავლოდ ეს ნავთობსადენი წლიურად 67 მლნ ტონას გადატუმბავს. რაც შეეხება ირანს, იქით ჯერ ნავთობსადენი არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ ყაზახეთის სურვილია, მისი ნავთობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი ირანის იაფი გზით გადიოდეს. მაგრამ ამ გზის მინუსი (არა ყაზახეთისათვის, არამედ გამტანისათვის) ისაა, რომ იქიდან ნავთობმა კვლავ ზღვით უნდა იაროს. მან უნდა გაიაროს, სხვათა შორის, ჰორმუზდის სრუტე, არასტაბილური არაბული ქვეყნების გარემოცვაში, და, ამდენად, ამით არ მცირდება დასავლეთის დამოკიდებულობა ამ ქვეყანათა განწყობილებაზე. რუსეთს შეუძლია თავისი ტერიტორიით ნავთობი გაიტანოს ან გაატაროს, ერთის მხრივ, ბალტიის პორტებისკენ და საკუთარი პორტისაკენ ფინეთის ყურეში – პრიმორსკისკენ, – რომელიც მან სპეციალურად საკუთარი ნავთობის გასატანად ააშენა, მეორეს მხრივ ბულგარეთის პორტი ბურგასისკენ, საიდანაც იგი ხმელეთით გავა ევროპელი მომხმარებლისკენ ან ხორვატიის და საბერძნეთის პორტებისაკენ. ჯამში, რუსეთი დაინტერესებულია მისი გზით ყაზახური ნავთობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი გავიდეს.

მაგრამ ორივე ეს გზა – რუსულიცა და ირანულიც, რომელიც ჯერ არ არსებობს – უგულებელყოფს დასავლეთისას, რომელსაც ბაქო-ჯეიჰანის გზის სახელით ვიცნობთ. აშშ მთავრობა მძლავრად იცავს გრძელსა და ძვირ ნავთობსადენს, რომელიც იწყება ყაზახეთის გაუყინავ პორტ აღთაუსთან, ზღვას კვეთს (გემით) ბაქოსკენ, გაივლის აზერბაიჯანს, საქართველოს, აღმოსავლეთ თურქეთს და ჩადის ჯეიჰანში (რომლიდანაც ადრე ერაყის ნავთობი გაჰქონდათ) ხმელთაშუა ზღვაზე. ეს გზა თუმცა გვერდს აუვლის ბოსფორს, რომელშიც თურქეთი ეკოლოგიური საბაბით აფერხებს ნავთობის ზიდვას, სამაგიეროდ გადის ქურთისტანზე და მის მოუსვენარ მთიანეთზე. "ეს გზა, – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი – თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ სამხრეთ კასპიაში ბევრად მეტი ნავთობი იყო, ვიდრე რეალურად აღმოჩნდა".

გაზეთის აზრით, (რასაც წინამდებარე რუკა ერთვის) ეს პროექტი დაფინანსებადია მხოლოდ ერთ შემთხვევაში: "თუ ყაზახსტანი მზადაა, მოიცეს იმის გარანტია, რომ დღეში 80 ათას ბარელ ნავთობს გამოუშვებს ამ ნავთობსადენით", მაშასადამე, ფაქტობრივად, გააგრძელებს ნავთობსადენს ათირაუმდე (ყოფ. გურიევი კასპიის ზღვის ჩრდ. ნაპირზე), სადაც იგი შეძლებს თენგიზისა და ქაშაგანის საბადოთა მონაპოვარი ნავთობიც მიიღოს".

წერილის სიტყვით, "ეს შეიძლება მოხდეს" მიუხედავად ფულის დამდები კომპანიების სკეპტიციზმისა ამისი ეკონომიკური შესაძლებლობის თაობაზე (მაშასადამე, მოხდეს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სტრატეგიული მოსაზრებით!). მეორეს მხრივ, ყაზახი ხელისუფალნი "უფრო და უფრო ცხადს ხდიან", რომ შემდგომი ნავთობსადენების გატარება მათ ირანისკენ ურჩევნიათ. ამ თვალში საცემი მიკერძოების ერთი მოტივი ნათელია: ირანის ჩრდილოეთი, სადაც თეირანია და სადაც ამ ქვეყნის 65 მილიონიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს, პერსპექტიული ბაზარია ყაზახეთის სხვა საქონლისთვის – ხორბლისა, ფოლადისა და სხვა ნაწარმისათვის (რადგან, როგორც ქვემოთ ვიტყვით, ყაზახეთის ხელისუფლება ზრუნავს, რათა მისი ქვეყნის ეკონომიკამ ცალკერძი "სანავთე" მიმართულება არ მიიღოს). მაგრამ კმარა ეს მოტივი ისეთი ძლიერი მთავრობის პირდაპირი ნებისადმი წინ აღსადგომად, როგორიც აშშ-ს მთავრობაა, თუკი, ამ ფაქტორის გარდა, საქმეში რუსეთის აქტიური ძალისხმევა არ მონაწილეობს? ამ კითხვას გაზეთი სამომავლოდ ღიას ტოვებს. იგი წერს, რომ 11 სექტემბრამდე განვითარების ასეთი პერსპექტივა, რასაც ყაზახები თავისი ირანული პოლიტიკის განვითარებაში ხედავენ, "წარმოუდგენელი იქნებოდა" ირანისადმი აშშ-ს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების გამო. მაგრამ 11.IX-ის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. "ამერიკულ-რუსული დაახლოების მიერ გამოწვეული ცვლილეები, შესაძლოა, ყველაზე მკვეთრად ამ რეგიონში ჩანდეს".

ამ ძირითად მიმართულებათა გარდა შესაძლებელია ნავთობსადენთა გაყვანა აგრეთვე ჩინეთისკენ და (ავღანეთში დასტაბილების შემდეგ), – პაკისტანისა და ინდოეთისკენ.

III. ეკონომიკა მთლიანად და პოლიტიკა

ნაზარბაევს "ფაინენშელ ტაიმსის" ანალიტიკოსი ახასიათებს როგორც "ავტორიტარულ პრეზიდენტს", რომელსაც ბრალად ედება, რომ მან "თავისი ოჯახისა და ბიზნესის ოლიგარქთა მცირე ჯგუფის ხელში თავი მოუყარა თითქმის მთელ სიმდიდრესა და ძალაუფლებას". ყაზახეთის დიდ პოტენციალთან ერთად მის როლს რუსეთის თვალში ბოლო დრომდე განსაზღვრავდა ის, რომ იგი იყო "ბუფერი" რუსეთსა და შუა აზიის უფრო "ტურბულენტურ" (არამდგრად) რესპუბლიკებს შორის". ამ სუსტად დასახლებულ უზარმაზარ ქვეყანაში სულ 15 მლნ სული ცხოვრობს, ყაზახები ოდნავი უმრავლესობა არიან. ნაზარბაევის ლოიალობა მოსკოვისადმი, მისი "ესენგეში" ყოფნის ჩათვლით, განპირობებულია იმით, რომ, თუ მოსკოვმა მოინდომა, ნაზარბაევი ვერ დაიმორჩილებს თავის რუსსა და სხვა არაყაზახ მოსახლეობას. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ყაზახეთიდან გავიდა 2 მლნ რუსი და სხვა არაყაზახი – ძირითადად, იმიტომ, რომ აქ ტარდება ყაზახი კადრების მომზადების და ხელმძღვანელ თანამდებობებზე რუსების მათით ჩანაცვლების პოლიტიკა. რუსების პოზიციები მართვაში დღესაც დიდია, მაგრამ გადამწყვეტ ძალას მაინც ყაზახებმა მიაღწიეს. რუსეთის წილად მოდის ყაზახეთის იმპორტის 51% და ექსპორტის 20%. ეკონომიკის ზრდა უსწრაფესია: 9% და 13% ბოლო ორ წელიწადში. პრეზიდენტს ბოლო დროს გაუჩნდა "ახალგაზრდა თურქებად" წოდებული ოპოზიცია (ეს XX ს-ის დამდეგის დემოკრატიულ-ნაციონალისტური სტამბოლური პარტიის სახელია, რომელმაც თურქეთში სულთნობა დაამხო), რომელიც მისივე მმართველი წრიდან წარმოდგება და როგორც ადმინისტრაციული, ისე ბიზნესური წრეების წარმომადგენელთაგან შედგება. გაზეთის სიტყვით, ნაზარბაევი მათ ძალიან რბილად და კეთილმსურველურად ეპყრობა.

როგორც ვხედავთ, ანალიტიკოსი ნაზარბაევს ხატავს ნაკომუნისტარ ეროვნულ ლიდერად, რომელიც თავის კომუნისტური წარმოშობის არადემოკრატიულ ძალაუფლებას ხელს არ უშვებს, მაგრამ მას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის იყენებს. თვით დედაქალაქის გადატანაც 1000 კმ მანძილზე, ალმა-ათადან ასთანაში, იმისთვის მოხდა, რომ დედაქალაქი მჭიდრო რუსული დასახლების ზონას გასცლოდა. ამ მხრივ ყაზახსტანის კონტრასტი საქართველოსთან

თვალსაჩინოა. ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი ამ კონტრასტს აღმრავებს და აზუსტებს.

ანალიტიკოსი ეკონომიკურ პოლიტიკას ახასიათებს თავისი მიმოხილვის ორ თავში: "ნავთობით მოპოვებული სიმდიდრე მთელ ეკონომიკაზე ვრცელდება" და "ზრდის სტაბილური ინერცია, როგორც ჩანს, შენარჩუნდება".

ნაზარბაევის ეკონომიკური პოლიტიკის დედაძარღვია იმპორტის ჩანაცვლება საკუთარი ნაწარმით: ნავთობდოლარებმა უნდა დააფინანსონ ეს ჩანაცვლება და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენა. უცხო ინვესტორებისთვის, რომლებიც ფულს დებენ ნავოთბსა, გაზსა და სხვა ბუნებრივ რესურებში, ეს ნიშნავს მზარდ ზეწოლას, რათა რესურსები ადგილობრივ შეიძინონ. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული საბჭოს აზრით კი (ღ), წინააღმდეგ ამისა, ეკონომიკური გამრავალფეროვნება (დივერსიფიკატიონ) მოითხოვს "შემოტანაზე ბარიერების შემცირებას და "წითელი ლენტის" მოხსნას, კანონმდებლობის "გაუმჯობესებას" უცხოური ინიციატივის სასარგებლოდ და "ადგილობრივი მმართველობის გაძლიერებას". პრაქტიკულად, ყაზახეთის პირობებში ეს ნიშნავს პირობების შექმნას როგორც ადგილობრივ, ისე უცხო მეწარმეთათვის, რომ ადგილზე აწარმოონ ნავთობისა და გაზის საჭურველი, სამშენებლო მასალები, აგრეთვე საკვები და მოხმარების სხვა საგნები.

"თუმცა ყაზახეთში შინაგანი ბაზარი ვიწროა (საშუალო ხელფასია 200 დოლარი თვეში), ადგილობრივ მეწარმეს ეხმარება კონკურენციის სიშორე. ახლოა და იაფია მხოლოდ თურქული და რუსული საქონელი, რის გამოც დღეს ყველა ლურსმანი და სამშენებლო ლითონი რუსეთიდან მოდის. "ჩანაცვლების" მიმართულებით ყველაზე დიდ შრომას ეწევა ინდური ფირმა, რომელიც ცდილობს, სანავთობე მილების წარმოება ყაზახისტანში ააწყოს (და რომელმაც უარი თქვა რუსთავის ქარხნის ყიდვაზე, არამედ მის ნაცვლად რუმინული ქარხანა იყიდა), მაგრამ ასეთ შემთხვევაში ფირმა საჭიროებს გარანტიას, რომ უცხო ინვესტორი მის ნაწარმს იყიდის, რასაც, თავის მხრივ, ინვესტორებთან სახელმწიფოს წინასწარი გარიგების მექანიზმი სჭირდება.

"ფაინენშელ ტაიმსში" აღწერილი ამ ეკონომიკური პოლიტიკის თვალში საცემი კონტრასტი იმასთან, რისი მოწმენიც საქართველოში ვართ, კიდევ უფრო მკვეთრდება, თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ანალიტიკოსი ყაზახეთის მიერ მიღწეული წარმატების ერთ-ერთ ფაქტორად ასახელებს "ფრთხილ საფინანსო და ფულად მენეჯმენტსაც" სახელმწიფოს მხრიდან. ამ მიღწევათა ხარისხს ქვემოთ ცხრილში დავინახავთ. კითხვას "გაგრძელდება თუ არა ყაზახეთის ეკონომიკური ზრდა?" ანალიტიკოსი "ჰო"-ს პასუხობს, თუმცა ყაზახეთის მიღწევები, გარდა დიდი უცხო ინვესტიციების ფაქტორისა, განპირობებულია ძირითადად კონკრეტული დარგობრივი მიღწევებით. საქართველოსთან კონტრასტს ეს არ არბილებს, რადგან სპეციფიკური მომგებიანი პოზიციები, როგორიცაა, მაგალითად, სატრანზიტო ტრანსპორტისა და წყლის ენერგიის გამოყენებისა, საქართველოს ძალიან დიდი აქვს.

აი, არმდენიმე ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებელი (2000 წლის)

მთლიანი შინაგანი პროდუქტი (მშპ) – 18,3 მლრ დოლარი

მშპ ერთ სულზე – 1196 დოლარი

ინფლაცია წლიური – 9,6%

სავაჭრო (დადებითი) ბალანსი – 2765 მლნ დოლარი

IV. საგარეო პოლიტიკა

"ფაინენშელ ტაიმსის" ანალიზიდან, რომელიც ამ თემას ეხება, კარგად ჩანს, რომ ნაზარბაევის ხელისუფლება არ იღებს ხელს თაყვანისმცემლურ რიტორიკაზე რუსეთის მიმართ, თუმცა ამავე დროს მკვეთრად გამოთქვამს თავის ერთგულებას საერთაშორისო – და, კერძოდ, ისლამური – ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი ამოცანისადმი, რაც ასევე ცალსახად მეტყველებს, რომ შუა აზიაში დასავლეთის მრავალმხრივი გეოსტრატეგიული დამკვიდრების პროცესი მისთვის მისაღებიცაა და მისასალმებელიც. კიდევ ერთი – და არსებითი – ტენდენცია: "დემოკრატიული" ახალთაობანი – რომელთაც, რასაკვირველია, მომავალი ეკუთვნით – კანონზომიერად, უფრო მედასავლეთენი არიან, ვიდრე წინა თაობა.

V. დემოკრატიული ახალთაობა

როგორც უკვე ითქვა, ესენი ნაზარბაევისვე ადმინისტრაციულ-ბიზნესური კომპლექსის წარმონაშობნი არიან. მათი ფრაზეოლოგია

დემოკრატიის თემაზე და მათი ცნებათა აპარატი იმდენად სტანდარტულია, რომ საზოგადო პოსტაბჭოური კურსის ელემენტად უფრო ჩანს, ვიდრე სპეციფიკურ ადგილობრივ მოვლენად.

ჰტ://წ წ წ .გეორგიან-პრესს.ნეტ/ინდეს.პჰპ?მ =69&ყ=2002&არ=13056

ყირგიზეთი იშლება ანუ შესაძლებელია თუ არა დემოკრატია შუა აზიაში?

25.06.2010

ოდესღაც, ყირგიზეთი შუა აზიაში დემოკრატიის განვითარების მაგალითად ითვლებოდა. დღეს, როგორც ჩანს, ქვეყანა უმართავი გახდა, ათობით ათასი მცხოვრები ქვეყნიდან გარბის. ყირგიზეთი სისხლისმღვრელი ეთნიკური შეტაკებების ადგილი გახდა. მოუღებს თუ არა ეს ბოლოს დემოკრატიის განვითარებას რეგიონში?

ახალგაზრდა უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები და ყიგიზები ცენტრალური აზიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდქალაქში სწავლობენ. უნივერსიტეტი ლამაზ ახალ შენობაშია განთავსებული. აქ ერთად სწავლობენ სტუდენტები იმ რეგიონიდან, რომელიც სასტიკი ეთნიკური დაპირისპირებების სენით დაავადდა, სადაც სახელმწიფო საზღვრები სოფლებს შუაზე ყოფენ და ბევრი გლეხის სახლი ერთ ქვეყანაშია, მიწის ნაკვეთი კი მეორეში.

თავად უნივერსიტეტი ტოკმაკში მდებარეობს – ყირგიზეთის ჩრდილოეთით ყაზახეთის საზღვართან მდებარე მშვიდობიან ქალაქში. ტოკმაკი ჰარმონიული ეთნიკური ურთიერთობების კუნძულია იმ ფეთქებადსაშიშ რეგიონში, რომელიც კასპიის ზღვიდან ტიან–შანის მთებამდეა გადაჭიმული. რუსეთი, ჩინეთი და აშშ ამ რეგიონში გავლენისთვის ბოლო 20 წელია იბრძვიან. ნარკოტიკებით მოვაჭრეებმა აქ დასავლეთისკენ საკუთარი მარშრუტები გაიკაფეს, ხოლო ისლამისტური მოძრაობები აქ თალიბების მსგავსად ხალიფატის შექმნას ცდილობენ.

რეგიონის წიაღში ნავთობის, გაზის, ოქროს და ურანის მარაგებია. გარდა ამისა, ნაყოფიერი ფერგანის ველი, რომელიც საბჭოთა დიქტატორმა იოსებ სტალინმა თვითნებურად უზბეკებს, ყირგიზებს და ტაჯიკებს შორის გაანაწილა, ნამდვილი ყუმბარაა, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს აფეთქდეს.

უნივერსიტეტის დაფუძნება მომავალის ერთგვარი იმედი იყო. მაგრამ ახლა, ტოკმაკის 55 ათასი მცხოვრები (განსაკუთრებით კი უზბეკური უმცირესობით დასახლებული კვარტლები), იმ დარბევების შიშით ცხოვრობს, რომელმაც ქვეყნის სამხრეთ ნაწილი მოიცვა.

სიტუაცია უკონტროლოა

51 წლის მშენებელმა და რესტორნის მფლობელმა, ეროვნებით უზბეკმა აბდიმოვლან აბდეზოვმა, ძვირფასი გერმანული ფაიფური გადამალა, საკუთარი „მერსედესი“ დაცულ ფარეხში ჩაკეტა და ცოლ–შვილი უცხეთში გაამგზავრა. ამ ზაფხულში მეზობელმა ყირგიზებმა შეძახილებით „უზბეკებო გაეთრიეთ!“ მისი რესტორანი დაწვეს.

„ერთი ნაპერწკალია საჭირო და აქ მეორე ოში გაჩნდება“, – თქვა მან შიშნარევი ხმით. ცენტრალური მთავრობა ოშს (სიდიდით ქვეყნის მეორე ქალაქი) ვეღარ აკონტროლებს. ქვეყნის დროებითი ხელმძღვანელი როზა ოტუნბაევა გასულ კვირაში ამაოდ გამოთქვამდა პროტესტს ქუჩებში გამძვინვარებული ხალხის მასების წინააღმდეგ. აპრილში მან ოფისიდან მისი კორუმპირებული წინამორბედი ყურმანბექ ბაკიევი გააგდო, მაგრამ თავად მას ძალაუფლება ფაქტობრივად არ მიუღია. იმის ნაცვლად, რომ კრიზისით შეპყრობილ რეგიონში მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი ჯარის საკმარისი ნაწილები გაეგზავნა, მან ბრძანება გასცა იქ სააგიტაციო ფურცლები გაევრცელებინათ პაციფისტური ლოზუნგებით, ოშში კი მხოლოდ პარასკევს ჩავიდა.

ამ მომენტისთვის, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან იუწყებიან, შეტაკებების დროს დაახლოებით 2 ათასი ადამიანი დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, ათობით ათასმა უზბეკმა, ქვეყანა დატოვა და სმათი უმრავლესობა უზბეკეთში გაიქცა. იმავდროულად, უზბეკეთში მცხოვრები ყირგიზები ყირგიზეთის რესპუბლიკაში (ყირგიზეთის ოფიციალური სახელწოდება) გარბიან. არსებობს საფრთხე, რომ ძალადობის ტალღა შუა აზიის სხვა რაიონებზეც გავრცელდება. გასულ

პარასკევს მოსკოვში, ცნობილი გახდა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ რეგიონში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის მიზნით ჯარების გაგზავნის გეგმა შეიმუშავა.

„მე დემოკრატია არ მჭირდება"

ტოკმაკში რესტორნის მფობელი აბდეზოვი საკუთარი დაზიანებული საკუთრების გაყიდვას ცდილობს. მასაც სურს უზბეკეთში წასვლა და იქ ახალი ცხოვრების დაწყება, მიუხედავად იმისა უზბეკეთს (რა ირონიაა!) დიქტატორი, პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი მართავს, რომელმაც ოპოზიცია გაანადგურა, უფლებადამცველები დააპატიმრა და მუსულმან მღვდელთმსახურებას დევნიდა. ყირგიზეთი, რომელსაც ზოგჯერ „შუა აზიის შვეიცარიას" უწოდებენ, დიდი ხნის განმავლობაში რეგიონში დემოკრატიის განვითარების ეტალონად ითვლებოდა.

„მე დემოკრატია არ მჭირდება", – თქვა აბდეზოვმა. – „მე მჭირდება, რომ ჩემი ცოლ–შვილი უსაფრთხოდ იყვნენ". როგორც ჩანს, ყირგიზეთში დატრიალებულმა არეულობამ ცხადყო, რომ მეზობელი ქვეყნების დიქტატორები თავიდანვე მართლები იყვნენ. მთელ რეგიონში სტაბილურობა მხოლოდ მაშინ მიიღწეოდა, როდესაც მას დესპოტები აკონტროლებდნენ (ჩინგის–ხანით დაწყებული და დასრულებული რუსი მეფეებით და სტალინით, რომელმაც რეგიონში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

მასობრივი მკვლელობები და პიროვნების კულტი

72 წლის კარიმოვი ადრე უზბეკეთში (შუა აზიის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი, 29 მილიონი ადამიანით დასახლებული ქვეყანა) კომუნისტურ პარტიას ხელმძღვანელობდა. როგორც იუწყებიან, 2005 წელს, მისმა უსაფრთხოების თანამშრომლებმა ანდიჟანში დემონსტრანტების მასობრივი მკვლელობები მოაწყვეს, დაახლოებით ათას ხუთასი ადამიანი დაიღუპა. ტაჯიკეთში ერთ დროს სისხლისმღვრელი სამოქლაქო ომი იყო გაჩაღებული, ქვეყანას დიდი ხნის განმავლობაში უკანონო ბანდიტური ფორმირებები მართავდნენ. ახლა იქაური დიქტატორი ემომალ რახმონი არა იმდენად მართავს ქვეყანას, რამდენადაც მბრძანებლობს. ხოლო თურქმენეთი მისი პრეზიდენტის კულტის ძალიან უცნაური გამოვლინებით, გარე სამყაროსგან დიდწილად იზოლირებულია.

ნავთობით მდიდარ ყაზახეთში 2007 წელს ერთადერთი პარტიის მიერ დაპყრობილმა პარლამენტმა კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანა, რომლის თანახმადაც სამოცდაცხრა წლის ნურსულთან ნაზარბაიევი სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტად რჩება. გასულ კვირაში დეპუტატებმა მას კიდევ ერთი – „ერის ლიდერის“ წოდება მიანიჭეს, მოსპეს რა მომავალში არჩევნების ჩატარების აუცილებლობა. ახლა ნაზარბაევის შეურაცხყოფა კანონით ისჯება, არადა მის მიერ მართული ქვეყანა ხომ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) გარდამავალი თავმჯდომარის თანამდებობაზეა. გარდა ამისა, ნაზარბაევმა იმუნიტეტი შეიძინა, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან ახლა მას, სხვა შუაზიელი მმართველების მსგავსად, ასევე მის ნათესავებს და კლანის წევრებს გამდიდრება უპრობლემოდ შეუძლიათ, მათ ხომ ხელი მიუწვდებათ ბუნებრივ რესურსებსა და წამყვან კომპანიებზე.

დამსხვრეული იმედები

დიდი ხნის განმავლობაში, ყირგიზეთი ის ერთადერთი შუაზიური ქვეყანა იყო, რომელიც ამ საერთო კანონზომიერებას არღვევდა. მართალია, პირველ პრეზიდენტ ასკარ აკაევს საკუთარი თავი არასდროს ავიწყდებოდა, თუმცა ოპოზიციური პარტიების არსებობას არ კრძალავდა. 2000 წელს, შ I –სთვის მიცემულ ინტერვიუში, მან აღიარა, რომ თანამედროვე პირობებში ახალი აბრეშუმის გზის შექმნაზე ოცნებობდა, თუმცა სიტუაციას რეალისტურად აფასებდა, და აცხადებდა, „დღეს რომ მარკო პოლოს იტალიიდან ჩინეთამდე მოგზაურობა მოენდომებინა, ჩვენი რეგიონის პირობებში ის ამას ვერ შეძლებდა იქ მყოფი მებაჟეების, მესაზღვრეების და სავიზო პირობების გამო“.

მაგრამ თოთხმეტწლიანი მმართველობის შემდეგ, აკაევი დაამხეს, რადგან ის და მისი კლანი რისხვის ობიექტი გახდა. დასავლეთი მაშინდელი გადატრიალების მხარდაჭერაში მონაწილეობდა.

„მისი მემკვიდრე ბაკიევი – უკანგადადგმული ნაბიჯი იყო“, – მიაჩნია ედილ ბაისალოვს, 2005 წლის „ტიტების რევოლუციის“ ერთ–ერთ ლიდერს. ასე უწოდებენ იმ მოვლენებს, რომლის დროსაც აკაევი დაამხეს. ოცდათორმეტი წლის ყირგიზი ბიშკეკის (ყირგიზეთის დედაქალაქი) ცენტრში, კაფეში ზის და ამბობს, რომ იმედგაცრუებულია.

რევოლუციიდან სულ მალე ბაისალოვი ახალ მბრძანებელ ლიდერს ბაკიევს დაუპირისპირდა, რადგან მან პრესის თავისუფლება შეზღუდა, რომლის დახმარებითაც თავად ხელისუფლებაში მოვიდა და „ჩვენი პატარა ყირგიზეთი გაძარცვა“. ბაისალოვის თქმით, მას ყველაზე მეტად გული იმაზე წყდება, რომ „ამერიკელებს ხმა არ ამოუღიათ, როდესაც ბაკიევი არჩევნებს აყალბებდა და ოპოზიციონერების მკვლელობებს უკვეთავდა“. მაგრამ ვაშინგტონს ყირგიზეთი ავღანეთში ჯარების მომარაგებისთვის გარდამავალ პუნქტად სჭირდებოდა. ყოფილი ამერიკელი სენატორები, მაგალითად ბობ დოული, იმ ბანკის დერექტორთა საბჭოს წევრებიც კი იყვნენ, რომელსაც, როგორც ამბობენ, ბაკიევის შვილი მაქსიმი აკონტროლებდა.

დემოკრატიის მარცხი

ბაკიევის დამხობის შემდეგ, ბაისალოვი ქვეყნის დროებითი პრეზიდენტის როზა ოტუნბაევას ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გახდა, მაგრამ ორ კვირაში ამ თანამდებობაზე უარი თქვა. ოტუნბაევას საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმება და საპარლამენტო მმართველობის შემოღება სურს. ეს კეთილშობილური მიზანია, მაგრამ არის კი ის შესაფერისი გზა ყირგიზეთისთვის? ბაისალოვის თქმით, მისმა ახალმა უფროსმა არაფერი გააკეთა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისთვის.

შუა აზია არჩევანის წინაშე დგას. დემოკრატია დღეს როგორც ჩანს არ მუშაობს, მაგრამ ავტორიტარული რეჟიმებიც მათი აუტანელი მმართველობით რისკავენ მოსახლეობის იმ ზომამდე მიყვანას, რომ მათ ან სახალხო მღელვარება ან ისლამისტების გამოსვლები წალეკავს.

ჯერ–ჯერობით, პრობლემის გადაწყვეტის არანაირი გზა არ ჩანს.

Benjamin Bidder and Matthias Schepp

Spiegel foreignpress.ge

რუსეთი ცდილობს ცენტრალური აზია ნატოს გავლენისგან გაანთავისუფლოს

Le Monde

მაშინ, როდესაც ამერიკული ბაზა მანასში ნატოს ოპერაციის გასაგრძელებლად ავღანეთში გადამწყვეტ როლს იძენს, ყირგიზეთის პრეზიდენტი კურმანბეკ ბაკიევი, სამშაბათს, 4 თებერვალს, მოსკოვში ვიზიტის დროს, ბაზის დახურვის შესახებ განცხადებას აკეთებს. რამდენიმე წუთით ადრე, ენერგეტიკის სფეროში მან $150 მილიონიან რუსულ ინვესტიციებზე დამატებით, რუსეთისგან 2 მილიარდი დოლარის სესხის მიღებაზე და მისი ქვეყნის უკვე არსებული ვალების გაუქმებაზე, თანხმობას მიაღწია.

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებზე თავდასხმის შემდეგ, ავღანეთში საერთაშორისო ძალების დასახმარებლად გახსნილი ბაზა მანასში, ალიანსის ძალების მომარაგების საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა. მან უფრო დიდი მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც სამშაბათს, პაკისტანსა და ავღანეთს შორის მდებარე კიბერისაკენ გასასვლელი სტრატეგიული ხიდი ააფეთქეს, რაც პაკისტანის გავლით ადამიანური რესურსის და სამხედრო აღჭურვილობის გატარებას სერიოზულად შეაფერხებს.

ბაზის დახურვის შესახებ განცხადება, ყირგიზეთმა, ცენტრალური აზიის ყველაზე ღარიბმა პოსტ-საბჭოთა ქვეყანამ, ფინანსური დახმარების სანაცვლოდ გააკეთა. "რამდენჯერაც არ უნდა უარყოს პრეზიდენტმა მედვედევმა კავშირი ბაზის დახურვასა და ფინანსური სესხის გამოყოფას შორის, ფაქტები საპირისპიროს მეტყველებენ. პატარა რესპუბლიკას, რომელიც ენერგომომარაგებაში სირთულეებს წააწყდა და მისი PIB - მკვეთრად დაეცა (რომლის 45% რუსეთში მომუშავე ყირგიზი მუშების საკუთარ ქვეყaნაში გაგზავნილი ფულისგან შედგებოდა), სხვა გამოსავალი არ დარჩა, თუ არა დამორჩილებოდა დიდი მეზობლის მოთხოვნებს.

მანასის ბაზაზე განლაგებული 1 200 ამერიკელი ჯარისკაცის ნეიტრალიზება მოსკოვისთვის გამარჯვებაა. ის ცენტრალურ აზიაში ხელახლა ფეხის მოკიდებას დიდი ხანია ცდილობს, რადგან ამ ზონას რუსული პოლიტ-სამხედრო ელიტა, როგორც რუსულ ზურგს ისე განიხილავს.

რუსეთის გეგმის მიხედვით, ამერიკელებს კოლექტიური ხელშეკრულების თანამშრომლობის სწრაფი რეაგირების ძალები (დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის სამხედრო კავშირი) სწრაფად ჩაანაცვლებს. "ყირგიზეთის ხელმძღვანელებს უფლება აქვთ იფიქრონ, რომ მანასის სამხედრო ბაზა, უფრო სასარგებლო იქნება სწრაფი რეაგირების ძალებისთვის, ვიდრე უცხოური სამხედრო

ძალებისთვის, რომლებიც პატივს არ სცემენ ქვეყნის სუვერენიტეტს", განმარტა ოთხშაბათს რუსეთის წარმომადგენელმა ნატოში, დიმიტრი როგოზინმა, რუსეთის სატელევიზიო არხზე "ვესტიზე" გამოსვლისას.

მისი აზრით, ამერიკელების წარუმატებლობა ავღანეთში, რეგიონის ქვეყნებისთვის ძალიან დიდი საფრთხის მატარებელია. "სამხედრო აქციები, რომლებიც ავღანეთის სამოქალაქო მოსახლეობაში დანაკარგებს იწვევს, თალიბანისადმი წინააღმდეგობის შესუსტებაშიც გამოიხატება," დაამატა მან. "ამიტომ კოლექტიური უსაფრთხოების პაქტის ჯარისკაცები, სადაც რუსები ჭარბობენ, სიტუაციის მართვას საკუთარ ხელში აიღებენ".

ამ გადაწყვეტილებამ არ შეიძლება არ გაგაკვირვოთ. განა თავად რუსეთი არ აცხადებდა მუდმივად, რომ ავღანეთის საკითხში ნატოსთან თანამშრომლობას მიესალმებოდა? ეს თანამშრომლობა არ შეცვლილა, ნატოსთან ურთიერთობის გაცივების პერიოდში, საქართველოსთან ომის შემდეგაც კი. სხვათაSორის, კრემლის წარმომადგენლებმა კარგად იციან, რომ ანტი-თალიბანური ოპერაციის ჩაშლას, შეიძლება ძალიან მძიმე შედეგები მოჰყვეს პირველ რიგში რუსეთისთვის და მისი მოკავშირეებისთვის ცენტრალურ აზიაში.

1990 წელს უზბეკეთს, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს ავღანეთიდან შემოსულ ექსტრემის-ისლამისტებთან არაერთხელ ჰქონდათ შეტაკებები.

შემდგარი ფაქტის პოლიტიკა

რეალურად, ბაზის დახურვის გადაწყვეტილება, ერთ-ერთი საჯილდაო ქვა გახდება, რომლის გამოყენებასაც კრემლი ნატოსთან დაგეგმილ მოლაპარაკებებში შეეცდება. საქართველოსა და უკრაინის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შესაძლო მიღების პერსპექტივით უკმაყოფილო და ცენტრალურ ევროპაში ამერიკული ანტი-სარაკეტო ფარის განლაგებით ღირსებაშელახული რუსეთი ცდილობს მთელი თავის სიმძიმე მიუნჰენში 6 თებერვალს უშიშროების საკითხებზე გამართულ დისკუსიებში გამოიყენოს.

ეს თანაბრად ეხება, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, მოსკოვის მიერ საქართველოს ანექსირებულ ტერიოტრიებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგებას. საერთაშორისო წესების დარღვევით, რუსეთი ცდილობს შემდგარი ფაქტის პოლიტიკა გამოყენოს. რუსეთი თანახმაა დასავლეთთან დიალოგი განაახლოს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი პირობების კარნახით.

ეს გამომწვევი პოზიცია, ეწინააღმდეგება ოპტიმისტების მოსაზრებებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ეკონომიკური კრიზისი

რუსეთს საგარეო პოლიტიკის შეცვლას აიძულებდა. ყირგიზეთის მაგალითი გვიჩვენებს, რომ რუსეთს აქვს შესაძლებლობა საკუთარი მეზობლებში კეთილი დამოკიდებულება იყიდოს.

”მიუხედავად მისი რეგიონალური სიძლიერისა, რუსეთს არასდროს არ შეეძლო მეზობლებისთვის რაიმე ღირებული შეეთავაზებინა, სამხედრო და ენერგეტიკული შეთანხმებების გარდა,” იმედგაცრულებული ამბობს მატვეი განაპოლსკი რადიო “ეხო მოსკვის” ანალიტიკური მიმომხილველი.

http://foreignpressge.blogspot.com/2008/07/blog-post_9799.html